თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 ივლისის სხდომის

ოქმი № 5

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლის 8 ივლისს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 40 წევრი

სხდომას ესწრებოდა 27 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ თეონა მაისურაძის სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების შესახებ

   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მაკა ღანიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასება COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში'' (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია)

შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 ივლისის №5 სხდომის დღის წესრიგი:

1. ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ თეონა მაისურაძის სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების შესახებ

   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მაკა ღანიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა დამდგრადობის შეფასება COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში'' (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია) შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში „ბიზნესის ადმინისტრირება“ და ,,ტურიზმი“.

,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ✓ **შეიცვალა კონცენტრაციის „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“** სახელწოდება და კონცენტრაციის სახელწოდებად განისაზღვრა „აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“;
- ✓ აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში „ფინანსური აღრიცხვა II“ (10 კრედიტი, ავტორი ნ. კვატაშიძე) განახლდა სასწავლო ლიტერატურა და გადამუშავდა სწავლის შედეგები;
- ✓ აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კონცენტრაციის სავალდებულო საგანში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ ავტორთა გვარები წარმოდგენილია პროფესორ ე. ხარაბაძის გარეშე.
- ✓ აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კონცენტრაციის არჩევითი საგანი „საწარმოს რესურსების მართვის სიტემა“ (ავტ. ასოც. პროფესორი თ. მუნჯიშვილი) შეიცვალა საგნით „ეკონომიკური ანალიზი ვაჭრობაში“ (ავტორი ასოც. პროფესორი მერაბ ჯიქია);
- ✓ მოდულის სავალდებულო საგანში „კორპორაციული ანგარიშგება“ განახლდა ლიტერატურა და შეფასების კრიტერიუმები.

- ✓ **კონცენტრაციაში „ფინანსები და საბანკო საქმე“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:**

  ა) სასწავლო კურსში „ინვესტიციები და ინვესტიციური პროექტები“ განახლდა ლიტერატურა, შეიცვალა ავტორი (პროფ. ირაკლი კოვზანაძის ნაცვლად სასწავლო კურსს წარმართავს მოწვეული პედაგოგი გელა წიკლაური); ბ) სასწავლო კურსში „კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში“ განახლდა ლიტერატურა; გ) სასწავლო კურსში „საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი“ განახლდა ლიტერატურა; დ) სასწავლო კურსში „სადაზღვევო სისტემა და რეგულირება“ განახლდა ლიტერატურა; ე) სასწავლო კურსში „საბანკო სისტემის

რეგულირება“ შეიცვალა შეფასების სისტემა; ბ) სასწავლო კურსში „ფინანსური სისტემა და რეგულირება“ ლექტორი თეა კასრაძის ნაცვლად წარმოდგენილია ასისტ. პროფ. ნ. კაკაშვილი.

- ✓ **კონცენტრაციაში „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:**

  ა) სასწავლო კურსში „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა“ (ავტ. ნ. ფარესაშვილი) შეიცვალა სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა და მოცემული სასწავლო კურსი გახდა წინაპირობის გარეშე;

  ბ) შეიცვალა სასწავლო კურსის „ემოციური ინტელექტი და მართვა“ (ავტ. ნ. ხარაძე, დ. ფირცხალაიშვილი) დასახელება შემდეგით „ლიდერობა და ემოციური ინტელექტი“.

- ✓ **კონცენტრაციაში „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:**

ა) სასწავლო კურსში ,,კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიები ბიზნესში“ განახლდა ლიტერატურა და შეიცვალა ავტორი (ზ. მუნჯიშვილის ნაცვლად ასოცირებული პროფესორი თ. მუნჯიშვილი), **შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა : „წინაპირობის გარეშე“**

ბ) სასწავლო კურსში ,,WEB ტექნოლოგიები ბიზნესში“ განახლდა ლიტერატურა, შეიცვალა ავტორი (ზ. მუნჯიშვილის ნაცვლად ასოცირებული პროფესორი თ. მუნჯიშვილი) შეიცვალა **საგანზე დაშვების წინაპირობა : „წინაპირობის გარეშე“**

გ) სასწავლო კურსში „ინფორმაციული მენეჯმენტი“ შეიცვალა საათების განაწილება (არსებული სალექციო - 30 სთ შეიცვალოს 15 საათით, ხოლო სასემინარო მეცადინეობა - 30 სთ შეიცვალოს პრაქტიკული/სასემინარო მეცადინეობით - 45 სთ), შეიცვალა **საგანზე დაშვების წინაპირობა : „წინაპირობის გარეშე“**

დ) განახლდა ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „ინფორმაციული მენეჯმენტი“; „ქსელური ეკონომიკა“; „ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემის მართვაში“; „ფირმაში ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები“; „ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მართვაში“.

ე) სასწავლო კურსში: „ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემის მართვაში“; შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“**;

ვ) სასწავლო კურსში: „ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში“ შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“**;

ზ) სასწავლო კურსში: „ინფორმაციული ტექნოლოგიები საგადასახადო საქმიანობის მართვაში“ შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“**

თ) სასწავლო კურსში: „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ მენეჯმენტში“ შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“**;

ი) სასწავლო კურსში: „ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მართვაში“ შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“**;

კ) სასწავლო კურსში: „ფირმის ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები“ შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“** ;

ლ) სასწავლო კურსში: „საბანკო საინფორმაციო სისტემები“ შეიცვალა საგანზე დაშვების წინაპირობა: **„წინაპირობის გარეშე“**.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

ა) სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ და მისი ყველა სასწავლო კურსის სილაბუსები გადაყვანილ იქნა 3 შედეგზე;

ბ) სასწავლო გეგმაში - „კვლევითი პროექტი“ (10 კრედიტი) გადავიდა **მეორედან - მესამე** სემესტრში, ხოლო **მესამე სემესტრიდან - მეორე სემესტრში** გადატანილია ორი ხუთ კრედიატიანი კურსები: „პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში“ და „საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი“.

გ) „კვლევითი ნაშრომის“ დასახელება შეიცვალა სახელწოდებით - „კვლევითი პროექტი“.

დ) დაზუსტდა სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“-ს პროგრამის შედეგები სილაბუსებში შეტანილი ცვლილებების მიხედვით.

ე) შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობები და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

- სტუდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს კვლევითი პროექტი;
- სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში.

შენიშვნა: *სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 100 კრედიტის ათვისება.*

ვ) შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პირობები: უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სილაბუსში შეიზღუდოს ნაშრომის იმავე სასწავლო წელს ხელახალი დაცვის შესაძლებლობა;

ზ) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს დაემატა კლასიფიკატორით გათვალისწინებული კოდი - 1019.2.2. „არაკლასიფიცირებული“.

თ) სასწავლო კურსის სახელწოდება - „ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა და მენეჯმენტი“ - **ჩანაცვლდა** სათაურით - „ბიზნესის დაგეგმვა და მართვა ტურიზმში“.

ი) შეიცვალა ინგლისური ენის B1.2. - B2.1. არჩევითი კურსების ლექტორები.

ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში ,,ტურიზმი“ (თსუ - ლუმიერის ლიონ **2**)

შეიცვალა სასწავლო პროგრამის აღწერის ფრაგმენტში „წინამდებარე ერთობლივი პროგრამის ორ ქვეყანაში სწავლების გათვალისწინებით გადასახადი,“ ვერსია, კერძოდ, ნაცვლად არსებული ვერსიისა: ,,ამასთან, ლლუ 2-ში გამგზავრებულ წარმატებულ სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული შემოსავლების მიღების შესაძლებლობები. კერძოდ, „ერაზმუს+“ის საერთაშორისო მობილობის დაფინანსების წყაროდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში დაფინანსდება 5 სტუდენტის საფრანგეთში გამგზავრების, ცხოვრებისა და პროფესიული პრაქტიკის ხარჯები“ მიზანშეწონილია ჩაიწეროს შემდეგნაირად: ,,ლლუ 2-ში გამგზავრება და ცხოვრება ხდება სტუდენტის საკუთარი სახსრებით, ამასთან, წარმატებულ სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული შემოსავლების მიღების შესაძლებლობები. კერძოდ, „ერაზმუს+“ის ან/და სხვა საერთაშორისო მობილობის დაფინანსების წყაროდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში შესაძლოა დაფინანსდეს რამდენიმე სტუდენტის საფრანგეთში გამგზავრების, ცხოვრებისა და პროფესიული პრაქტიკის ხარჯები“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ცვლილებები;

2. დამტკიცდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ წარმოდგენილი ცვლილებები.
3. დამტკიცდეს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში ,,ტურიზმი“ (თსუ - ლუმიერის ლიონ 2) წარმოდგენილი ცვლილება

მოისმინეს: ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა).

საბაკალავრო პროგრამაში განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები:

- ✓ პროგრამის და ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები გადამუშავდა კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, კერძოდ, შედეგები წარმოდგენილია სამი კატეგორიის სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
- ✓ განახლდა და გადამუშავდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლების მიზნები, შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო თეამტიკა და სასწავლო ლიტერატურა, შეფასების სისტემა;
- ✓ პროგრამის არჩევითი მოდულები 25 კრედიტის ნაცვლად წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით;
- ✓ შეიცვალა „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის“მოდულის სახელწოდება და ეწოდა „აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის“ მოდული;
- ✓ სასწავლო კურსს „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2“ შეეცვალა სტატუსი და სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი;
- ✓ სასწავლო კურსი „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ მეხუთე სემესტრიდან გადატანილია მეოთხე სემესტრში;
- ✓ სასწავლო კურსი „ საჯარო ფინანსები“ მეშვიდე სემესტრიდან გადატანილია მეხუთე სემესტრში;
- ✓ პრაქტიკის გავლის ერთ-ერთ წინაპირობად შესაბამისი მოდულის 15 კრედიტის ნაცვლად განისაზღვრა მოდულის 10 კრედიტი;
- ✓ საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგნისთვის „C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში“ დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2“ შეიცვალოს წინაპირობით „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1“;
- ✓ **დამატებითი სპეციალობის პროგრამაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის** საგანი ,,კორპორაციათა ფინანსები“ მე-6 სემესტრიდან გადატანილია მე-5 სემესტრში,

- ✓ **დამატებითი სპეციალობის პროგრამაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის** საგანი „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ მეოთხე სემესტრიდან გადატანილია მესამე სემესტრში;
- ✓ **დამატებითი სპეციალობის პროგრამაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის** საგანი „საჯარო ფინანსები“ მერვე სემესტრიდან გადატანილია მეექვსე სემესტრში;
- ✓ დამატებითი სპეციალობის პროგრამაში საგანი „ფინანსური აღრიცხვა“ 10 კრედიტი) III სემესტრიდან გადატანილა IV სემესტრში;
- ✓ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის გათვალისწინებულ დამატებითი პროგრამის სტრუქტურაში მარკეტინგის კათედრის სასწავლო კურსები (მარკეტინგი 1, მარკეტინგი 2, საერთაშორისო მარკეტინგი) გადანაწილდა ისე, როგორც არის სხვა ფაკულტეტებისათვის გათვალისწინებულ დამატებით პროგრამაში (შესაბამისად მე-5, მე-6 და მე-7 სემესტრებში).

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მოდული

- ✓ „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ შემოდგომის სემესტრიდან გადატანილია გაზაფხულის სემესტრში და გახდა მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსი (სილაბუსის ავტორი: ეკა ჩოხელი);
- ✓ „საზოგადოებრივი ადმინისტრირება“ გაზაფხულის სემესტრიდან გადატანილია შემოდგომის სემესტრში და გახდა მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსი;
- ✓ „პრაქტიკული მენეჯმენტი“ გახდა მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსი;
- ✓ „საერთაშორისო მენეჯმენტი“ გაზაფხულის სემესტრიდან გადატანილია შემოდგომის სემესტრში და გახდა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი;
- ✓ „ორგანიზაციული ქცევა“, მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი, გადატანილია გაზაფხულის სემესტრში.

საერთაშორისო ბიზნესის მოდული

- ✓ საერთაშორისო ბიზნესის მოდულში VII სემესტრში დაემატა დისციპლინა ,,საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება“ პროფ. თემურ შენგელიასა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ბონდო გასვიანის ავტორობით.

აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მოდული

- ✓ მოდულში შემავალი ყველა სილაბუსი დაყვანილია სწავლის სამ შედეგზე;
- ✓ მოდულისთვის მომზადდა ახალი სილაბუსი პროფესორ ლევან საბაურის ავტორობით საგანში „პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკა“;

მარკეტინგის მოდული

- ✓ მოდულს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი“.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მოდული

- ✓ მოდულს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „ბიზნეს მონაცემთა ანალიტიკა Excel-ის გარემოში“ მე-7 სემესტრში;
- ✓ „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მოდულის სასწავლო კურსის სახელწოდება „მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა“ შეიცვალოს სახელწოდებით „ეკონომიკასა და ბიზნესში მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა“.

ფინანსებისა და საბანკო საქმის მოდული

- ✓ მოდულს დაემატა ახალი საგანი „საერთაშორისო ფინანსები“ მე - 7 (შემოდგომის) სემესტრში.

გლობალურ გარემოში მენეჯმენტის მოდული

- ✓ დისციპლინის „მიწოდების ჯაჭვის მართვა გლობალურ გარემოში“ წინაპირობა შეიცვალა „მენეჯმენტის საფუძვლებით“;
- ✓ სასწავლო კურსი „კარიერის მართვა“ გახდა სავალდებულო და გადავიდა მეშვიდე სემესტრში, ასევე მოეხსნა წინაპირობა;
- ✓ სასწავლო კურსი „კროს-კულტურული მენეჯმენტი“ გახდა სავალდებულო და გადავიდა გაზაფხულის სემესტრში (მერვე სემესტრი);
- ✓ სასწავლო კურსი „გლობალური ტალანტ-მენეჯმენტი“ გადავიდა შემოდგომის სემესტრში (მეშვიდე სემესტრი).

მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი

- ✓ მოდულს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „საერთაშორისო ტურიზმი“ მე-7 სემესტრში;
- ✓ განახლდა ლიტერატურა საგნებში: „შესავალი ტურიზმში“, „შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დაამტკიცეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება“(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“ (სააკრედიტაციო).

სააკრედიტაციოდ წარსადგენ ეკონომიკისსაბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“ წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები:

1. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში აისახა დამატებითი სპეციალობის პროგრამის „ეკონომიკა“ მიზანი;
2. თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (სააკრედიტაციო) წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიები:

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი იური ანანიაშვილი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, პროფესორი რევაზ გველესიანი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი თეიმურაზ შენგელია, პროფესორი იოსებ ხელაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი იოსებ ხელაშვილი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე – დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიები:

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი იური ანანიაშვილი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, პროფესორი რევაზ გველესიანი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი თეიმურაზ შენგელია, პროფესორი იოსებ ხელაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი იოსებ ხელაშვილი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე –დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ თეონა მაისურაძის სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ თეონა მაისურაძის სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების საკითხი,

სადისერტაციო თემა: **,,პროდუქტიულობის ზრდა სტრესის მართვის სრულყოფის გზით (ქართული კომპანიების მაგალითზე)“,** შეიცვალოს: ,,ორგანიზაციული სტრესის მართვის სრულუყოფა და მისი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე (კერძო კომპანიების მაგალითზე)“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ თეონა მაისურაძის სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილების საკითხი, კერძოდ

სადისერტაციო თემა: **,,პროდუქტიულობის ზრდა სტრესის მართვის სრულყოფის გზით (ქართული კომპანიების მაგალითზე)“,** შეიცვალოს: ,,ორგანიზაციული სტრესის მართვის სრულუყოფა და მისი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე (კერძო კომპანიების მაგალითზე)“.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მაკა ღანიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასება COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში'' (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია)
შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

2. პროფესორი ლევან ქისტაური(საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი)

დისერტაციის დაცვის კომისია

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
2. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
3. პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
4. პროფესორი სიმონ გელაშვილი
5. პროფესორი ნუგზარ თოდუა
6. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
7. პროფესორი დავით ნარმანია
8. პროფესორი თეიმურაზ შენგელია
9. პროფესორი თამარ გამსახურდია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)
10. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
11. ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია
12. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
13. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
14. ასოცირებული პროფესორი ეკასეფაშვილი
15. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
16. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
17. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
18. ასისტენტ-პროფესორი ნატო კაკაშვილი
19. ასისტენტ-პროფესორი თამარ კბილაძე

აღნიშნული საკითხი გადაიდო

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე